პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 197 (5227)

1974 წ. 5 ოქტომბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მწვრთნელის ბარჯის ნაყოფი

სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. უძლიერესის სახელისთვის იბრძოდა დასავლეთ საქართველოს ბევრი ცნობილი ათლეტი. მათ შორის იყვნენ მახარაძის, წულუკიძის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, აბაშის, ონის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და სხვა რაიონების წარმომადგენლები. მაყურებლებმა ნახეს ბევრი საინტერესო შერკინება. განსაკუთრებით თამამად ჭიდაობდნენ ახალგაზრდები. მათი გაბედული, ტექნიკური ილეთები ალტაცებას ჰგვრიდა სპეციალისტებსა და მწვრთნელებს.

გუნდური პირველობა ცხაკაიელებმა დაისაკუთრეს, რომლებსაც ხუთი I ადგილი ხვდათ. მასპინძელთა გამარჯვება შემთხვევითი არ არის. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა კ. ჯოჯუამ შედარებით მოკლე დროში შექმნა მტკიცე, მონოლითური კოლექტივი, რომელიც წარმატებით გამოდის სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

ქების ღირსია II ადგილზე გასული მახარაძის რაიონის მოჭიდავეთა კოლექტივი (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კ. თავართქილაძე). ამ რაიონის წარმომადგენლებმა ორი I ადგილი დაისაკუთრეს.

III ადგილზე წყალტუბოელი „კლასიკოსები" (მწვრთნელი გ. გუდაძე) გავიდნენ. მათაც ორი ჩემპიონი ჰყავთ.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: დ. ლატარიამ, მ. ლომიამ, ა. მურღულიამ, ტ. ვეფხვაძემ, ა. თოლორდავამ (ყველა — ცხაკაია), ი. ხოშერიემა, დ. კუპრაძემ (ორივე — მახარაძე), გ. გუდაძემ, ზ. სირაძემ (ორივე — წყალტუბო).

აღნიშნული მოჭიდავეები გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულ ცხაკაიელებთან ერთად, საქართველოს სპარტაკიადის დებულების შესაბამისად, გაისად ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ.

ე. ბუზუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი.



## იერიშის ძალა

სულიერი სიმხნევე, ოპტიმიზმი და გამარჯვების რწმენა განაპირობებს იერიშის ძალას. სწორედ ამ ძალამ შეაკრთო მოსკოვის ჩემპიონი ე. ფატალიბეკოვა მ. სამულთან (ტალინი) შეხვედრაში, მაგრამ ვერ დააბნია. ფატალიბეკოვამ ფიგურების გაცვლით განმუხტა პოზიცია და 27-ე სვლაზე მეტოქეს დაუზავდა.

ასე დაიწყო VI ტური.

მალე დამთავრდა მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — ა. კისლოვას (ომსკი) შეხვედრა. თბილისელმა ოსტატმა ისე უხეიროდ გაითამაშა დებიუტი, რომ მისი მეფის პოზიცია მძლავრი იერიშის ქვეშ მოჰყვა. კისლოვამ შებოჭა მაიას ფიგურები და შამათითაც დაემუქრა. ხსნა რომ არ ჩანდა, 36-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ ბრძოლა შეწყვიტა.

სხვა პარტიებში თამაში მთელ საღამოს გაგრძელდა.

რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი) შეუპოვრად უტევდა ტ. ფომინას (ტალინი) მეფეს. ვიდრე იერიშს დაიწყებდა, ბილუნოვამ ლაზიერში ორი ეტლი მოიგო, მერე გამსვლელი პაიკიც შექმნა. ფომინამ მეფე გაბედულად გახიზნა მეტოქის ბანაკში.

— ბილუნოვა აშამათებს თეთრ მეფეს, — შენიშნა ქალთა შორის თბილისის სამგზის ჩემპიონმა ლ. ნაჭყებიამ, როცა მოსკოველი მოჭადრაკე კარგა ხნით ჩაფიქრდა. შამათის გზა არც ისე ადვილი მოსაძებნი იყო. ბილუნოვამ გამსვლელი პაიკის ამოძრავება ამჯობინა და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო.

ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი), როგორც კი ხარისხი მოუგო თავის ახალგაზრდა თანაქალაქელ ე. ბახრეხს, მაშინვე მის გვირგვინოსანს შეუტია. იერიში იმდენად ძლიერი იყო, რომ მთლიანად წალეკა ბახრეხის მეფის ფრთა. ბოლოს მედიანიკოვას ზედმეტი ეტლი დარჩა და ბახრეხიც დანებდა.

მოიერიშე სტილის მოჭადრაკეა ლვოველი ტ. მოროზოვა. მისთვის ერთი ნაპერწკალიც საკმარისია ძლიერი იერიშის გასაჩაღებლად. როცა ტ. პოპოვამ (მოსკოვი) ცენტრში მხედარი დასვა, მოროზოვამ მის ლაზიერს შეუტია. მოსკოველმა ზერელედ ითამაშა, ლაზიერს მყუდრო ბინა ვერ მიუჩინა. მოროზოვამ სწრაფად აუღო პოზიციას ალღო და ლაზიერს კვლავ დაესხა თავს, ამჯერად უფრო მედგრად და დაატყვევა კიდეც. პოპოვამ ფარხმალი დაყარა.

იერიში უფრო ძნელია ენდშპილში, ვინაიდან აქ პატარა შეცდომაც კი დიდად საზიანოა. ამიტომაც მ. რანიკუ (ტალინი) თ. გოლოვეისთან (მინსკი) ენდშპილს უკიდურესი სიზუსტით თამაშობდა. მის უპირატესობას ძლიერი გამსვლელი პაიკი შეადგენდა. ესტონელმა ოსტატმა შეუტია პაიკის წინსვლის ხელშემშლელ ფიგურებს. მან იერიში ისე გონებამახვილურად წარმართა, რომ გოლოვეიმ დიდი წინააღმდეგობა ვერ გასწია. 43-ე სვლაზე მინსკელი მოჭადრაკე დანებდა.

მძაფრი იერიში და კონტრიერიში ერთმანეთს ცვლიდა ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — ა. გრინფელდის (კალინინგრადი) შეხვედრაში. ბოლოს კალინინგრადელმა ოსტატმა იმარჯვა. მან შეძლო მეტოქის კონტრიერიშის ჩახშობა, ეტლში ორი ფიგურისა და პაიკის მოგება, მაგრამ შეხვედრა იმავე დღეს ვერ დაამთავრა. პარტია გადაიდო. მულენკოს გაუჭირდება ყაიმის მიღწევა.

გადაიდო კიდევ ორი პარტია. რთულ სიტუაციაში შეწყდა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — თ. ხუგაშვილის (თბილისი) შეხვედრა. თანაბარი პოზიციაა ც. კობაიძე (თბილისი) — ტ. კოსტინას (მინსკი) პარტიაში.

ამ დღეს თავისუფალი იყო მ. შული (ლვოვი).

6 ტურის შემდეგ ე. ფატალიბეკოვას 5,5 ქულა აქვს, მ. რანიკუს — 4,5, ნ. მედიანიკოვას — 4.

თ. გიორგაძე.

• • •

თავიანთ პირველ დასვენების დღეს ჩემპიონატის მონაწილეებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მცხეთა და ჯვრის მონასტერი.

სურათებზე: საერთაშორისო ოსტატი მ. შული (გიტარით), მისი მწვრთნელი, ოსტატი ვ. ჟელიანდინოვი და საერთაშორისო ოსტატი რ. ბილუნოვა ხალისიანად მღერიან; ოსტატი ა. გრინფელდი სამახსოვრო ფოტოსურათებს იღებს.

ა. კაკაბაძის ფოტოები.





### ლაზიერები პატრონებს ელიან

თბილისის კერამიკულმა კომბინატმა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთათვის ორი სპეციალური პრიზი დააწესა: ყველაზე მეტი მოგებისთვის თეთრებით და შავებით. გამარჯვებული მოჭადრაკეები მიიღებენ ფაიფურის ვეებერთელა თეთრ და შავ ლაზიერებს. პრიზები სამოდელო საამქროს უფროსმა მხატვარმა-კერამიკოსმა გ. კობერიძემ გააკეთა.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

## კარპოვი — კორჩნოი 2:0 (6 ყაიმი)

მოსკოვი, 3 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის VIII პარტიაში კორჩნოიმ კვლავ ფრანგული დაცვა გაითამაშა. კარპოვმა (თეთრები), ისევე როგორც VI პარტიაში, ტარაშის ვარიანტი აირჩია და პატარა, მაგრამ საიმედო პოზიციური უპირატესობა მიიღო. კორჩნოის თავისი გამხოლოებული პაიკისთვის დასჭირდა ზრუნვა.

კარპოვი არ ჩქარობდა ამ პაიკის დატყვევებას. იგი მეტოქის ფიგურებს თანმიმდევრულად ავიწროებდა და ცენტრალურ უჯრებს მტკიცედ დაეუფლა. კორჩნოის არ ჰქონდა კონტრთამაშის საშუალება და ამიტომ თავისი ფიგურების მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა.

მე-20 სვლაზე კარპოვმა ბრძოლა დაიწყო ცენტრალური ვერტიკალის დასაპყრობად. კორჩნოიმ სცადა მუქარის განელება ჯერ კუს, მერე ეტლის გაცვლით, მაგრამ ვერას გახდა. ცხადია, ენდშპილში გადასვლა, რაც კარპოვმა შესთავაზა, მისთვის საზიანო იქნებოდა, ვინაიდან გამხოლოებული პაიკის სისუსტე უფრო ნათლად გამოჩნდებოდა. მაგრამ კარპოვი მაინც არ მოეშვა „სნეულ" პაიკს. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა.

კარპოვი ისე იყო შეპყრობილი ამ პაიკის მოგების სურვილით, რომ 37-ე სვლაზე g პაიკის წინსვლისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ამ შემთხვევაში იგი პაიკს ვერ მოიგებდა, მაგრამ ჭარბ პოზიციურ უპირატესობას მიიღებდა.

როცა დაფიდან მძიმე ფიგურები გაქრა, ენდშპილში კარპოვის უპირატესობა მინიმალური აღმოჩნდა, თუმცა ზედმეტი პაიკი ჰქონდა. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ პაიკის სარეალიზაციოდ კარპოვს დიდი ტექნიკური სიძნელეების გადალახვა დასჭირდებოდა. კორჩნოიმ მაქსიმალურად გაააქტიურა თავისი მეფე და კუ, რითაც მეტოქის მატერიალური უპირატესობა გააბათილა. 51-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

გთავაზობთ VIII პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

**ფრანგული დაცვა**

1. e4 e2 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. dc კ:c5 8. 0—0 მge7 9. მb3 კd6 10. c3 კg4 11. მbd4 0—0 12. ლa4 კh5 13. ეe1 ლc7 14. h3 კg6 15. კg5 a6 16. კf1 h6 17. კ:e7 მ:e7 18. ეad1 მc6 19. კd3 კh5 20. g4 კg6 21. ლc2 კ:d3 22. ლ:d3 ეad8 23. ეe2 ეfe8 24. მf5 ე:e2 25. ლ:e2 კf4 26. ეe1 g6 27. მe7+ მ:e7 28. ლ:e7 ლb6 29. მფg2 მფg7 30. ეd1 კd6 31. ლe2 კc7 32. ეd3 ლe6 33. ლd1 კb6 34. ეd2 ლe4 35. b3 ეd6 36. c4 h5 37. ე:d5 ე:d5 38. ლ:d5 ლ:d5 39. cd hg 40. hg მფf6 41. მფf1 მფe7 (ჩაწერილი სვლა) 42. მd2 კc7 43. მe4 f5 44. gf gf 45. მc5 მფd6 46. მ:b7+ მფ:d5 47. b4 მფc4 48. მc5 კb6 49. მ:a6 მფb5 50. მc5 მფ:b4 51. მb3 მფa3 ყაიმი.

## გამარჯვება, მედალი და ხალათი

ტაშკენტი, 3 ოქტომბერი. ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის დღევანდელი მატჩის ბედი გადაწყვიტა გოლმა, რომელიც „კარპატის" კარში 21-ე წუთზე გაიტანა „ფახთაქორის" კაპიტანმა ტ. ისაკოვმა.

— ამ გამარჯვებას რუფატ რისკიევს ვუძღვნით, — თქვა კაპიტანმა.

თანამემამულეთა გამარჯვება დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში პირველი საჩუქარი იყო კრივში მსოფლიო ჩემპიონისთვის, რომელსაც დღეს 25 წელი შეუსრულდა.

„ფახთაქორის" ცენტრალურ სტადიონზე კარგ ტრადიციად იქცა საფეხბურთო მატჩის ტაიმებს შორის სახელოვან სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან შეხვედრა. ამ დროს ათი ათასობით სპორტის მოყვარულის თვალწინ მათ საზეიმოდ გადასცემენ პრიზებს, მედლებს, სამკერდე ნიშნებს. აი, დღესაც სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშნები გადაეცათ ნიჩბოსან ვ. მუსტაფაევს, ველოსიპედისტებს მ. პერვეევს, ი. ბერეჟნოის, ვ. საენკოს.

რ. რისკიევმა სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშანი მიიღო. ამასთან, ეს ნიშანი მას გადასცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კოლესოვმა. შემდეგ იუბილარი ტრადიციისამებრ ლამაზ ხალათში გამოაწყვეს. თავის მწვრთნელ კ. გრანატკინთან და სხვა უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენებთან ერთად რისკიევმა საპატიო წრე შემოიარა სტადიონზე.

მსოფლიო ჩემპიონმა დღეს კიდევ ერთი საპატიო ჯილდო მიიღო: მატჩს ესწრებოდა ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, პრინცი გოლიამ რეზა ფეჰლევი, რომელმაც რისკიევსა და მის მწვრთნელს სამახსოვრო მედლები გადასცა.

მატჩის მონაწილეებმა პირველი ბურთის დარტყმა საპატიო სტუმარს სთხოვეს. ამ შეხვედრის სამახსოვროდ ირანელ პრინცს მიართვეს ბურთი ფეხბურთელთა ავტოგრაფებით და ვიმპელი.

ე. ეფიმოვი.

საჭადრაკო ოლიმპიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა კარს მოგვადგა. ახლა ყველა სპორტსაზოგადოებისა და უწყების საზრუნავი ის არის, რომ დროულად შეამოწმონ საქართველოს ნაკრებისთვის კანდიდატების მზადების საქმე და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში, რომელიც ჩატარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" და ფაშისტურ გერმანიასთან ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნება, საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის უნდა იბრძოლოს.

საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ყველა ეს საზრუ-

## სენს ვერავინ გადაურჩა

ნავი გაითვალისწინა რესპუბლიკის პროფსაბჭომ, რომელმაც გაწეული მუშაობის შემოწმების მიზნით პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა დაიწყო.

ასპარეზობის პროგრამაში 11 სახეობაა შეტანილი, ზოგ სახეობაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. შედეგები მძლეოსნებმაც შეაჯამეს. ამ სახეობაში ასპარეზობა თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე სამ დღეს გაგრძელდა.

შეჯიბრებას ყველა კოლექტივი გულისხმიერად მოეკიდა, მონაწილეებს ძალა არ დაუზოგავთ, მაგრამ რა ქნან, თუ რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" ჩამორჩენის საერთო სენს ვერც ისინი გადაურჩნენ!

პროფკავშირული სპორტსაზოგადოებები საქართველოში ძირითადი ძალაა. ფაქტიურად ისინი წარმოადგენენ რესპუბლიკაში სპორტული საქმიანობის მთავარ არტერიას. საქართველოს ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი სწორედ პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების აღზრდილია. მძლეოსანთა რესპუბლიკურ ნაკრებშიც ათობით სპორტსმენი ჰყავთ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს — საერთო მოთხოვნებს არც ნაკრების ამ წევრთა დღევანდელი მაჩვენებლები აკმაყოფილებს.

მონაწილეთა რიცხვით ეს შეჯიბრება ერთგვარად აღემატებოდა საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც აქვე რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, ტექნიკური შედეგების თვალსაზრისით კი ჩამორჩა მას. ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც კარგად გამოვიდა, ეს უკონკურსოდ მოასპარეზე, სსრ კავშირის ყველა სპარტაკიადის მონაწილე, დინამოელი ვეტერანი ლ. ტუღუში იყო. მისი ბადრო 56 მეტრზე დაეცა. თუ საერთაშორისო საზომით მივუდგებით, ეს საშუალო მაჩვენებელია, მაგრამ საქართველოში დღესდღეობით სხვა არავინ გვეგულება, რომელსაც ამგვარი შედეგის მოპოვება შეეძლოს.

ლამარას მტკიცედ გადაუწყვეტია გაისისთვის ენერგიულად მოემზადოს და ორი რეკორდი მაინც დაამყაროს — საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე მეექვსედ გამოვიდეს და ბადროს ტყორცნაში რესპუბლიკური რეკორდის ზღვარი კიდევ უფრო შორს გადასწიოს. სპორტსმენის სურვილი მოსაწონია და მას მხარდაჭერა სჭირდება.

ვერც შოკით მხტომელ მ. თათეუშხიანს („კოლმეურნე") დავემდურებით. რესპუბლიკაში 5 მეტრი დღემდე მის მეტს არავის დაუძლევია. დინამოელმა ნ. ზვიადაურმა ამ შეჯიბრებაში შუბი 76,10 მეტრზე ტყორცნა. სამწუხაროდ, სამი დღის მანძილზე მხოლოდ ეს სამი შედეგი იყო დამაკმაყოფილებელი. ყველა სხვა მაჩვენებელი, თუნდაც პირველი თანრიგის ნორმატივს შეესაბამებოდეს (არც ასეთი შედეგი ყოფილა მაინცდამაინც ბევრი), საკავშირო სარბიელზე არაფერს წარმოადგენს.

ზოგიერთ სახეობაში ისევ და ისევ თვალსაჩინო იყო მოასპარეზეთა სიმცირე. მაგალითად, 100 მეტრზე თარჯრბენის სტარტზე თითქოს ოთხი მძლეოსანი უნდა გამოსულიყო, სინამდვილეში სარბიელზე მხოლოდ ორი ქალი ვიხილეთ, ფინიშამდე კი მარტო ტ. მერკულოვა („ბურევესტნიკი") მივიდა და მანაც III თანრიგის შედეგი ძლივს აჩვენა. არადა, მესამე თანრიგი ახლა რაიონულ შეჯიბრებებშიც კი აღარავის უნდა აკმაყოფილებდეს.

სავალალო ფაქტია, რომ ქალთა შორის 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მარტო „ბურევესტნიკისა" (50,5) და „სპარტაკის" (52,0) გუნდები ასპარეზობდნენ და ისინიც ამაოდ დაშვრნენ.

ცხადია, თვით სპორტსმენებსაც კი (აღარას ვამბობთ მწვრთნელებზე) აღარ აწუხებთ ის ამბავი, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში უღიმღამოდ, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვიდნენ და ცდილობენ როგორმე დაამთავრონ დისტანცია, ტყორცნონ იარაღი ან გადახტნენ. სამაგიეროდ, ერთი უცნაური ფაქტი შევნიშნეთ (ეს უკვე მერამდენედ!): ზოგიერთი მძლეოსანი სარბიელზე გამოდიოდა უცხოელი მძლეოსნებისგან ნაყიდ მაისურებში, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის გერბი თუ ემბლემა ამშვენებდა. ცხადია, სპორტსმენებთან პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა სათანადო დონეზე რომ იდგეს, გუნდებს ერთიანი სპორტული ფორმა რომ ჰქონდეთ, მსგავსი რამ არ მოხდებოდა.

შეჯიბრებამ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, ყველას, ვისაც რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ზრუნვა ევალება, ბევრი ამოცანა დაუსახა. ეს ამოცანები წლების მანძილზე გამეფებული უდარდელობის გამო იმდენად გართულდა, რომ მათი გადაჭრა ასე უებად აღარც კი მოხერხდება.

* * *

გაგაცნობთ მხოლოდ სპარტაკიადის ჩემპიონებს:



**ქალები. რბენა. 100 მ.** ვ. შმაკოვა — 12,8, **200 მ.** ლ. ჭარბაძე (ორივე — „ბურევესტნიკი") — 26,6, **400 მ.** თ. მატიცინა („სპარტაკი") — 59,7, **800 მ.** ი. კლოკარი — 2.33,1, **1500 მ.** ნ. სუდაკოვსკაია (ორივე — „ბურევესტნიკი") — 5.26,8. **სიგრძეზე ხტომა.** შმაკოვა — 554. **სიმაღლეზე ხტომა.** ნ. დანილოვა („სპარტაკი", პირადი) — 160. **ბადროს ტყორცნა.** ც. ჯაფარიძე („სპარტაკი") — 48,98. **შუბის ტყორცნა.** ს. ნოვოსელცოვა („კოლმეურნე") — 45,32. **ბირთვის კვრა.** გ. ბერაია („ბურევესტნიკი") — 13,23.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** ნ. ჰიგოშვილი („სპარტაკი") — 10,8, **200 მ.** თ. ჩიტაძე — 22,3, **400 მ.** ს. არტემიევი (ორივე — „კოლმეურნე") — 49,1, **800 მ.** მ. შაპოვალოვი („ბურევესტნიკი") — 1.56,5, **1500 მ.** გ. ხარაზიშვილი — 4.08,5, **5000 მ.** ე. გათიკოევი (ორივე — „კოლმეურნე") — 15.27,0, **10000 მ.** გ. ჩოჩიშვილი — 33.26,6. **თარჯრბენი. 110 მ.** ლ. ბოლქვაძე — (ორივე — „ბურევესტნიკი") — 15,7, **400 მ.** ზ. თავბერიძე („კოლმეურნე") — 54,1. **ესტაფეტა. 4×100 მ.** „ბურევესტნიკი" — 43,0, **4×400 მ.** „ბურევესტნიკი" — 3.26,0. **ბადროს ტყორცნა.** ვ. ტარანი („კოლმეურნე") — 44,88. **შუბის ტყორცნა.** ნ. ორფანოვი („განთიადი") — 73,02. **უროს ტყორცნა.** გ. ელიაშვილი — 59,82. **ბირთვის კვრა.** ვ. სუხიტაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 15,06. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩუკანოვი („სპარტაკი") — 739. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. პოპოვი („შრომითი რეზერვები") — 2 მ. **სამხტომი.** ზ. თვალავაძე („ბურევესტნიკი") — 14,34, **20 კმ-ზე სპორტული სიარული.** ა. ბერიძე („შრომითი რეზერვები") — 1:35.20,8.

**გუნდური შედეგები:** „ბურევესტნიკი" — 18454 ქულა, „კოლმეურნე" — 15971, „სპარტაკი" — 11955.

**ო. გელაშვილი.**

* * *

**სურათზე:** მოსწავლეთა წლევანდელი საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში, თბილისელი რ. ბაირამოვი („ლოკომოტივი"). პროფკავშირთა სპარტაკიადაში მან II ადგილი დაიკავა.

ავტორის ფოტო.

# საჭიროა კიდევ 1 ქულა...

3 ოქტომბერს სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა ლუჟნიკში მესამე გამარჯვება მოიპოვა „კანადა-74"-თან — 5:2 (2:1, 2:1, 1:0). მსოფლიო ჩემპიონებმა 8 ქულა დააგროვეს და „სერიაში" თუ მეტი არა, საყაიმო შედეგი მაინც უზრუნველყოფილი აქვთ, ხოლო საერთო, დიდი წარმატებისთვის დარჩენილ ორ მატჩში მათთვის ერთი ქულაც საკმარისია.

მეორე შეხვედრა მოსკოვის ყინულზე საბჭოთა მსაჯმა ვ. დომბროვსკიმ ჩაატარა. მას ეხმარებოდნენ ვ. ნიკულცევი (სსრ კავშირი) და დ. რობი (კანადა).

სტუმრებს 33 წუთი საჯარიმო დრო ჰქონდათ, აქედან ტარდიფსა და მარტი ჰოუს — 10-10 წუთი. მასპინძლებს 9 წუთი დაუგროვდათ.

გუნდებში მცირე ცვლილებები მოხდა; ლებედევთან და შადრინთან კვლავ თამაშობდა იაკუშევი, თუმცა ტრავმის შემდეგ სავსებით გამოჯანსაღებული ჯერ კიდევ არ არის. მას შემდეგ, რაც მალცევი პირველ პერიოდში დაშავდა, იგი კაპუსტინმა შეცვალა. სტუმრების დაცვაში სელვუდის მაგიერ თამაშობდა მარტი ჰოუ. მეთხე რგოლი ასეთი იყო: მაკგრეგორი — მაკოვლიჩი — ჰენდერსონი.

— ჩვენმა ბიჭებმა დაისვენეს კანადაში მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ, — თქვა ბ. კულაგინმა, — და 3 ოქტომბერს ბევრად უფრო სწრაფად, მანევრულად თამაშობდნენ. ნახევარი წუთიც არ იყო გასული, როცა მიხაილოვმა ანგარიში გახსნა. მე-3 წუთზე, როცა მარკ ჰოუ გააძევეს, ვასილიევი შეიჭრა მეტოქეთა ზონაში და რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

— მასპინძლებმა პირველი გოლები ძალიან იოლად გაიტანეს, — შენიშნა ამის გამო „მონრეალ სტარის" მიმომხილველმა რედ ფიშერმა. — მატჩი საბჭოთა ნაკრების დამარცხებით არ დამთავრდეს...

ერთხანს საქმე ისე იყო, რომ შეიძლებოდა ეს წინასწარმეტყველება მართლაც ამხდარიყო. მე-17 წუთზე შმირის გადაცემის შემდეგ ულმა შაიბა გაიტანა და ანგარიში გახდა 2:1. მეორე პერიოდის შუა მონაკვეთში „თავისი" გოლი გაიტანა გორდი ჰოუმ.

მაგრამ შემდგომში მსოფლიო ჩემპიონებმა ძალიან უმატეს სისწრაფეს და მოედნის ნამდვილი ბატონ-პატრონები გახდნენ. 29-ე წუთზე ანისინმა კაპუსტინისა და ვიკულოვის მიერ ლამაზად დაწყებული კომბინაცია კარგად, ოსტატურად დააგვირგვინა. 34-ე წუთზე შატალოვმა შორიდან გაიტანა შაიბა, 53-ე წუთზე კი ხარლამოვმა მეტოქის რიგები გაარღვია და მეხუთე გოლი გაიტანა.

სამწუხაროდ, კანადელები ხშირად არღვევდნენ წესებს. შეხვედრის ბოლოს, უკვე ფინალური სასტვენის შემდეგ, მცველმა ლეიმ ჩხუბი ატეხა და ხარლამოვს გაარტყა.

პრეს-კონფერენციაზე ბ. კულაგინმა თქვა: მე დიდ პატივს ვცემ ბილ ჰარისს იმისთვის, რომ მან შეძლო შეექმნა ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის ძლიერი ნაკრები, მაგრამ ძალიან ვწუხვარ, რომ მან ვერა და ვერ გადააჩვია თავისი მოწაფეები აკრძალული, ბინძური ხერხების გამოყენებას.

ბილ ჰარისმა შენიშნა, კანადელები ეცდებიან ორივე დარჩენილი შეხვედრა მოიგონო.

ეს მართლაც შეიძლება მოხდეს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანადელები გვიჩვენებენ თავიანთ ოსტატობას თამაშში და არა ხელჩართულ ჩხუბში, როგორც ახლა.

ჩვენ საბჭოთა ჰოკეის სამ ვეტერანს — მეკარე ვ. ზინგერს, მცველ ვ. ნიკიტინსა და თავდამსხმელ რ. სახაროვსკის ვთხოვეთ შეეფასებინათ თავიანთი ამპლუის ჰოკეისტთა თამაში.

ვ. ზინგერი: ტრეტიაკი, როგორც მუდამ, სათანადო სიმაღლეზე იდგა. ჩვენი მცველები ეს უკვე მერამდენე მატჩია მაინცდამაინც ფხიზლად ველარ თამაშობენ და ტრეტიაკს ხშირად უხდება მათი ხსნა. დიდი ჯაფა დაადგა ჩივერსს, მაგრამ ამჯერად იგი რაღაც უფრო დუნედ თამაშობდა და ზოგჯერ აგვიანებდა კარიდან გამოსვლას.

ვ. ნიკიტინი: მომეწონა საბჭოთა ჰოკეისტების დიდი სისწრაფე და კარგი გადაცემები, მომეწონა ისიც, რომ კაპუსტინი მყისვე, დაუყოვნებლივ ჩაება ბრძოლაში. რაც შეეხებათ ჩვენს მცველებს, მათ შეეძლოთ უფრო შეთანხმებულად ეთამაშათ.

რ. სახაროვსკი: კანადელი ფორვარდები ამჯერად ძალიან სწორხაზობრივად თამაშობდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ამას ალღო აუღეს. სტუმრებიდან გამოვყოფდი გორდი ჰოუს და ჰალს. ჩვენს გუნდში თავდამსხმელთა უპირატესობა საუცხოოდ თამაშობდა. განსაკუთრებით მომეწონა პეტროვის რგოლი.

ამ შეხვედრაში საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს მიხაილოვი და გორდი ჰოუ.

**ვ. დვორცოვი,**
**ა. ლევინსონი.**
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

# კოროლიოვის მემორიალი

**ბრიანსკი, 8 ოქტომბერი.** მძიმეწონოსანი მოკრივეების — რინგის მასპინძლის ი. რიბაკოვისა და ცხინვალელი ვ. ქუძიევის ბრძოლით დამთავრდა ნ. კოროლიოვის მემორიალი. მთავარი პრიზი — სახელგანთქმული მოკრივის თასი, რომელიც მან ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში დაიმსახურა, რიბაკოვს ნიკოლოზ თევდორეს ძის მეუღლემ ა. კოროლიოვამ გადასცა.

კოროლიოვის მემორიალი ახლა საკავშირო შეჯიბრებების კალენდარშია შეტანილი. ეს ასპარეზობა ბრიანსკში შემთხვევით როდი იმართება: სამამულო ომის წლებში კოროლიოვი ბრიანსკის ტყეებში იბრძოდა მედვედევის პარტიზანული რაზმის შემადგენლობაში.

წლევანდელმა ტურნირმა რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთისა და ლატვიის მოკრივეებს მოუყარა თავი. ტურნირი, ცხადია, ყველა წონით კატეგორიაში ჩატარდა.

# დუშელებმა ივარგეს

დუშეთში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ეს იყო რესპუბლიკის VI სპარტაკიადის ზონალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ საქართველოს 11 რაიონის ფალავნებმა. მოასპარეზეებმა სანაქებო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დუშელმა გ. ჯარიაშვილმა და გორელმა ს. გოგინაშვილმა. სწორედ მათ გადაეცათ დუშეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური პრიზები მაღალი ტექნიკისთვის.

გუნდური გამარჯვება ტურნირის მასპინძლებმა მოიპოვეს (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ს. ფეიქრიშვილი). II ადგილზე გავიდნენ კასპელი ფალავნები, III — თელაველები.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველნი იყვნენ: დ. ჯოხაძე (თელავი), გ. ბადრიაშვილი (გურჯაანი), ს. გოგინაშვილი (გორი), ლ. კარიაული (დუშეთი), ი. დემეტრაშვილი (კასპი), ჯ. ჯიქური, გ. ჯარიაშვილი (ორივე — დუშეთი), გ. მედოშვილი (ახმეტა).

ტურნირი კარგად იყო მოწყობილი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მსაჯთა კოლეგიას ჯ. ნათელაშვილის ხელმძღვანელობით.

**ხ. აბილცეცხლაშვილი,**
**ზ. სიანაიძე.**

დუშეთი.

# „ყუბანის პრიზი" თბილისში

კრასნოდარში კარტინგი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ქალაქის სპორტსმენები ყველა საკავშირო შეჯიბრების მონაწილენი არიან და თავიანთს ქალაქშიც ხშირად ატარებენ დიდ ტურნირებს. ყველაზე მასობრივი ასპარეზობა კი „ყუბანის პრიზის" გათამაშებაა.

საქართველოს კარტინგისტებმა „ყუბანის პრიზისთვის" ბრძოლაში პირველ თვალსაჩინო წარმატებას 1966 წელს მიაღწიეს, როცა გუნდური ტურნირი მოიგეს და თასი დაისაკუთრეს. შემდგომ ორ წელიწადს ამგვარი ღონისძიება აღარ ჩატარებულა, ამიტომ პრიზი თბილისის დოსააფელთა მუდმივ საკუთრებად გადაიქცა.

1969 წლიდან „ყუბანის პრიზის" გათამაშება განახლდა და მასპინძლებმაც ახალი ჯილდო მოამზადეს. საქართველოს კარტინგისტებმა ამ შეჯიბრებაში მხოლოდ წლეულს ცადეს ძალა. ასპარეზობაში, რომელიც ამას წინათ გაიმართა, სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის 34 გუნდი ჩაება. თითოეული კლასის მანქანებით რბოლაში 60-70 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს კოლექტივმა (ლ. ღლონტი, თ. ხიდეშელი, რ. ვასაძე და ვ. ბოკუჩავა) ყველა მეტოქეს აჯობა და პრიზი კვლავ თბილისში წამოიღო.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ვ. ბოკუჩავა 50 კბ სმ მოცულობისძრავიანი კარტინგით გამოვიდა. მან პირველ ცდაზე II ადგილი დაიკავა, მეორე ცდაზე რბოლას გამოეთიშა, მესამე ცდაზე კი ყველას აჯობა და თანატოლთა შორის საერთო I ადგილიც დაისაკუთრა.

ჭაბუკ რ. ვასაძეს, რომელიც „125-ანით" ასპარეზობდა, ბადალი არ ჰყავდა. მან ზედიზედ ორი ცდა მოიგო და მესამე ცდა აღარ დასჭირებია, უძლიერესის სახელი ისე მოიპოვა.

ლ. ღლონტი უფროსების შეჯიბრებაში 125 კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანით მონაწილეობდა. მანაც პირველი და მეორე ცდები მოიგო და საერთო გამარჯვებაც დაისაკუთრა.

თ. ხიდეშელი „175-ანებით" შეჯიბრებაში გამოვიდა. მან პირველი ცდა მოიგო, მეორე ცდაზე კი II ადგილი დაიკავა. საერთო პირველობისთვის მას მესამედაც უნდა ეცადა ძალა. თბილისელი სპორტსმენი დიდხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ შუა დისტანციის მერე მანქანა გაუფუჭდა და რბოლას გამოეთიშა, რის გამოც საბოლოოდ II ადგილს დასჯერდა.

ამ კუბატურის მანქანებით რბოლაში III ადგილი თბილისელ კარტინგისტს ა. წერუაშვილს ხვდა, რომელიც პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა.

**ო. ივდოშვილი.**



სსრ კავშირის პირველობა

**ტაშკენტი**, 3 ოქტომბერი. დღეს აქ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი: „ფახთაქორი" — „კარპატი".

გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა — 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 23 | 11 | 10 | 2 | 35—13 | 32 |
| „ჩერნომ." | 23 | 9 | 9 | 5 | 31—25 | 27 |
| „ტორპედო" | 23 | 10 | 6 | 7 | 28—21 | 26 |
| „შახტიორი" | 23 | 8 | 10 | 5 | 30—24 | 26 |
| „სპარტაკი" | 23 | 9 | 8 | 6 | 22—19 | 26 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 8 | 9 | 6 | 34—24 | 25 |
| „ზენიტი" | 23 | 6 | 13 | 4 | 27—29 | 25 |
| „არარატი" | 22 | 8 | 7 | 7 | 24—20 | 23 |
| „დნეპრი" | 23 | 7 | 9 | 7 | 19—24 | 23 |
| „ფახთაქორი" | 23 | 7 | 8 | 8 | 33—35 | 22 |
| „ქაირათი" | 23 | 6 | 8 | 9 | 31—35 | 20 |
| ცსკა | 23 | 6 | 8 | 9 | 24—28 | 20 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 5 | 10 | 8 | 18—28 | 20 |
| „კარპატი" | 22 | 4 | 10 | 8 | 19—22 | 18 |
| „ზარია" | 23 | 5 | 8 | 10 | 24—36 | 18 |
| „ნისტრუ" | 23 | 4 | 7 | 12 | 27—43 | 15 |

## პელე დაემშვიდობა ფეხბურთს

**რიო-დე-ჟანეირო**, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგი მატჩის — „სანტოსისა" და „პონტე-პრეტის" შეხვედრის 21-ე წუთზე მსაჯმა თამაში შეწყვიტა და ყველა ფეხბურთელი პელესკენ გაქანდა. მინდორზე იგი იმისთვის გამოვიდა, რომ თანაგუნდელებისა და ყველა გულშემატკივრისთვის ეთქვა „მშვიდობით".

— მე სურვილი მაქვს სათითაოდ ყველას მადლობა გადავუხადოთ იმ სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის, რაც გამოიჩინეთ ჩემს მიმართ 18 წლის მანძილზე საფეხბურთო მინდვრებზე ჩემი თამაშის პერიოდში, — თქვა პელემ.

დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, 33 წლის „ფეხბურთის მეფემ" გადაწყვიტა აღარ განაახლოს კონტრაქტი თავის კლუბ „სანტოსთან". იგი არც სხვა გუნდებში აპირებს თამაშს.

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 5 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი). დასაწყისი 11 ს. 6 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი). 12 ს.

# საქართველოს გუნდების წარმატება

3 ოქტომბერს გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დინამო" (ბათუმი) — „ფოლადი" (სუმგაითი) [illegible]:1

ბათუმელ ფეხბურთელებს, რომლებიც ახლა ზონის ლიდერები არიან, უსიამოვნო ტვირთად აწევთ პირველ წრეში სუმგაითში დამარცხება ადგილობრივ „ფოლადთან" (0:1), რომელიც მაშინაც აუტსაიდერთა შორის იყო და არც მერე დაუტოვებია ადგილი ცხრილის ბოლოში.

სარევანშო მატჩი დინამოელებმა სწრაფი ტემპით დაიწყეს და თამაში მაშინვე მოპირდაპირე მხარეს გადაიტანეს. მაგრამ მოხდა „გაუთვალისწინებელი" ამბავი: მე-6 წუთზე მამედოვმა წესი დაარღვია მინდვრის შუაგულში, მსაჯის სასტვენის მოლოდინში მასპინძლები შეჩერდნენ, სუმგაითელმა კი გზა განაგრძო და გახსნა კიდეც ანგარიში.

გავიდა 2 წუთი და მდგომარეობა გათანაბრდა — ვ. ჩიტაურმა ჭეიშვილისგან მიღებული ბურთი 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა კარში.

ამის შემდეგ ბათუმელები საგრძნობი უპირატესობით თამაშობდნენ. 27-ე წუთზე ბეჟანიძემ ბურთი „ფოლადის" მეკარე მალახოვს აართვა და თავისი გუნდი დააწინაურა.

შესვენების შემდეგ დინამოელები განაგრძობდნენ შეტევას. 57-ე წუთზე ქიქავა — ცინარიძის მიერ მარცხენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა გოგიჯანაშვილმა.

საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი შ. ჭეიშვილს გადაეცა.

ახლა ლიდერს ზედიზედ 4 მატჩი აქვს ჩასატარებელი სტუმრად.

**ო. მურვანიძე.**

### „დილა" (გორი) — „დინამო" (კიროვაბადი) 5:0

მატჩს დიდძალი მაყურებელი დაესწრო, რომლებმაც იხილეს თავიანთი გუნდის კოლექტიური, შეტევითი თამაში.

უკვე მე-15 წუთზე სტუმრების კარი ბეწვზე გადაურჩა ხიფათს, 3 წუთის შემდეგ კი ბურჯანაძის მიერ მიწოდებული ბურთი თავით გაგზავნა ბადეში ბუზალაძემ.

კიროვაბადელებმა ვერაფერი გააწყვეს მასპინძელთა წინააღმდეგ, 25-ე წუთზე ხელით ითამაშეს საკუთარი კარის ახლოს და იმავე ბუზალაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი. ტაიმის დასასრულს „დინამოს" მეკარე ჰუსეინოვი იძულებული იყო მესამედ გამოეტანა ბადიდან ბურთი, რომელიც ბურჯანაძემ გაიტანა.

როგორც კი განახლდა თამაში, ხანიშვილ — ბუზალაძის კომბინაცია მეოთხე გოლით დამთავრდა, ხოლო 62-ე წუთზე მელაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა საჯარიმო — 5:0.

დინამოელები შეეცადნენ თავი დაეღწიათ დიდი ანგარიშით დამარცხებისთვის, მაგრამ ყველა მათი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

„დილას" გათამაშების დასასრულს 4 ძნელი კალენდარული მატჩი ელის სტუმრად.

**ი. თევდორაშვილი.**

### „მერცხალი" (მახარაძე) — „ლორი" (კიროვაკანი) 1:0

პირველი 35 წუთი ისე გავიდა, რომ „მერცხლის" მეკარე ჩემინავას მონაწილეობა არ მიუღია თამაშში, 36-ე წუთზე კი ჭანტურიამ წარმატებით დაამთავრა პარტნიორთა მიერ გათამაშებული კომბინაცია — 1:0.

შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ მახარაძელთა მხარეს იყო, თუმცა სტუმრები დროდადრო ახერხებდნენ სახიფათო კონტრიერიშებზე გადასვლას და 73-ე წუთზე ჩემინავას ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

მატჩის დასასრულს „მერცხალი" კვლავ საიმედოდ ფლობდა ინიციატივას და დამსახურებული გამარჯვებაც მას დარჩა.

**ვ. შავიშვილი.**

### „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „შირაკი" (ლენინაკანი) 4:3

მატჩი საინტერესო შეტევებით და უხვგოლიანობით გამოირჩეოდა. რკინიგზელებმა თავიდანვე ძლიერი იერიშებით დაიწყეს თამაში, 23-ე წუთზე „შირაკის" კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ ბახტაძემ უზუსტოდ დაარტყა. შემდეგ დარჯანიამ ბურთი ძელს მოახვედრა. მასპინძელთა ამ ტერიტორიული უპირატესობისას „შირაკმა" შეძლო სწრაფი კონტრიერიშის განხორციელება, რომელიც გოლით დაამთავრა გალსტიანმა.

ის-ის იყო დაიწყო მეორე ტაიმი, როცა 47-ე წუთზე მელქონიანმა მეორე ბურთი გაიტანა ლოკომოტიველთა კარში და ეს უკანასკნელნი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. საკმაო ხანი დაჭირდა თანაფარდობის აღდგენას. ბოლოს, 78-ე წუთზე, სულაბერიძე — ბახტაძის კომბინაცია პირველი საპასუხო გოლით დამთავრდა, 6 წუთის შემდეგ კი დარჯანია — ბახტაძე — ბოჭორიშვილს შორის გათამაშებული ბურთი მეორედ აღმოჩნდა ლენინაკანელთა ბადეში — 2:2.

დარჩენილ მცირე დროში გოლები თითქმის ზედიზედ გადიოდა ორივე მხარეს. ჯერ ბახტაძემ კარგად გამოიყენა დარჯანიას გადაცემა, შემდეგ ბოჭორიშვილის წინააღმდეგ სტუმრებმა უხეშად ითამაშეს და ჩოჩახიძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. უკვე მაშინ, როცა თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, მელქონიანმა შეძლო სხვაობის შემცირება 3:4-მდე.

**ვ. მელქაძე.**

ასე დამთავრდა: „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:2, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (კოლოგდა) 5:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:1, „ურალანი" (ელისტა) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 1:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 2:2.

# ევროპის ტურნირების დღე

2 ოქტომბერს ჩატარდა ევროპის საკლუბო გუნდების გათამაშებათა განმეორებითი შეხვედრები, რომლებშიც სსრ კავშირის თთხივე გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონთა თასზე ერევნის „არარატი" შინ ხვდებოდა ნორვეგიის „ვიკინგს" (სტავანგერი), რომელთანაც პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0. „რაზდანის" სტადიონზე მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ (მარქაროვი), მაგრამ მერე მოეშვნენ და ნორვეგიელებს ორ წუთში, 41-ე და 42-ე წუთებზე 2 ბურთის გატანის საშუალება მისცეს (ნილსონი და ბერლანდი). „არარატმა" განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა მეორე ტაიმში. მარქაროვმა კიდევ 2 ბურთი გაიტანა, ხოლო 83-ე წუთზე ბონდარენკომ შორიდან დარტყმით მერთხედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. საინტერესოა, რომ პირველ მატჩშიც ორივე ბურთი გატანილი ჰქონდა იმავე მარქაროვს. ერევნელები მერვედფინალში ითამაშებენ.

თასების მფლობელთა თასზე კიევის დინამოელებმა სოფიის სტადიონზე ითამაშეს ბულგარეთის თასის მფლობელ ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესთან". მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ დაძლიეს კიეველთა წინააღმდეგობა, 81-ე წუთზე კი ბლოხინმა კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ზუსტად შეუცვალა მიმართულება და გოლი გაიტანა — 1:0. კიევის „დინამოს" პირველი მატჩიც ასეთივე ანგარიშით ჰქონდა მოგებული (ბურთი მაშინაც ბლოხინმა გაიტანა) და იგი გათამაშების შემდგომ, მერვედფინალურ ეტაპზე გავიდა.

უეფა-ს თასზე გამართულ მატჩში მოსკოვის დინამოელები შვეციის ქალაქ ვეკშიოში დამარცხდნენ ადგილობრივ „ესტერთან" (2:3), განმეორებითი შეხვედრა კი მოიგეს ანგარიშით 2:1. ანგარიში გახსნა ევრიუქიხინმა, შესვენების შემდეგ სვენსონმა გაქვითა გოლი, მაგრამ 69-ე წუთზე პეტრუშინმა შეძლო მეორე ბურთის გატანა. 2 მატჩის ჯამში (მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთები ასეთ შემთხვევაში ორმაგად ითვლება) გაიმარჯვა „დინამომ".

ამავე გათამაშებაში მარცხი იწვნია მოსკოვის „სპარტაკმა", რომელიც მოსტარში ეთამაშებოდა იუგოსლავიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს „ველეჟს". პირველი მატჩი „სპარტაკს" შინ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:1. ახლა იუგოსლაველებმა შეძლეს რევანშის აღება: ჩოლიჩისა და პოპიჩის ორი გოლის წყალობით გაიმარჯვეს — 2:0. ორი მატჩის საერთო ანგარიში თანაბარია (3:3), მაგრამ მოსკოვში გატანილმა გოლმა საბოლოო წარმატება „ველეჟს" მოუტანა. აღსანიშნავია რომ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მოსტარის სტადიონზე შუქი ჩაქრა და თამაში 15 წუთით შეწყდა.

ევროპის ტურნირების განმეორებითი მატჩები გაიმართება 23 ოქტომბერს და 2 ნოემბერს.

# შემდეგ წრეში გავიდნენ:

## ჩემპიონთა თასი

### ერთმერვედფინალი, მეორე წრე

„დოძა უიპეშტი" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლევსკი-სპარტაკი" (სოფია, ბულგარეთი) 4:1 (3:0)

„კოლრეინი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) 1:4 (0:7)

„რუხი" (ხოჟუვი, პოლონეთი) — „ჰვიდოვრე" (დანია) 2:1 (0:0)

„ოლიმპიაკოსი" (პირეოსი, საბერძნეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია) 2:0 (1:1)

„სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია) — „სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი) 1:1 (0:2)

„ციურიხი" (შვეიცარია) — „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) 2:1 (1:4)

„ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია) — „სლოვანი" (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 3:1 (2:4)

ჰიძ-0 (ფინეთი) — „ვალეტა" (ლა-ვალეტა, მალტა) 4:1 (0:1)

„ფენერბახჩე" (სტამბული, თურქეთი) — „ჟენესი" (ლუქსემბურგი) 2:0 (3:2)

„ბარსელონა" (ესპანეთი) — „ლინცი" (ავსტრია) 5:0 (0:0)

„კეფლავიკი" (ისლანდია) — „ჰაიდუკი" (სპლიტი, იუგოსლავია) 0:2 (1:7)

## თასების მფლობელთა თასი

### მერვედფინალი, მეორე წრე

„არდსი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ფსვ ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 1:4 (0:10)

„სტრიომგოდსეტი" (ნორვეგია) — „ლივერპული" (ინგლისი) 0:1 (0:11)

„ბოლონია" (იტალია) — „გვარდია" (ვარშავა, პოლონეთი) 2:1 (1:2), პენალტებით — 5:6

„ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) — პაოკ-ი (სალონიკი, საბერძნეთი) 2:0 (0:1)

„ვანლოსე" (დანია) — „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) 1:4 (0.4)

„კარდიფ სიტი" (უელსი) — „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:4 (0:2)

„აუსტრია" (ვენა, ავსტრია) — „ვარეგემი" (ბელგია) 4:1 (1:2)

„მონაკო" (საფრანგეთი) — „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი, გფრ) 2:2 (0:3)

„ფინ ჰარპსი" (ირლანდია) — „ბურსასპორი" (თურქეთი) 0:0 (2:4)

„ჟიული" (რუმინეთი) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) 2:0 (0:3)

„სიონი" (შვეიცარია) — „მალმიო" (შვეცია) 0:1 (1:0), პენალტებით — 4:5

„რეიპასი" (ლაჰტი, ფინეთი) — „შლიემა უონდერერსი" (მალტა) 4:1 (0:2)

„კარლ ცაისი" (იენა, გდრ) — „სლავია" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 1:0 (0:1), პენალტებით — 3:2

„ფრამი" (ისლანდია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 0:6 (0.2)

## უეფა-ს თასი

### ერთმეთექვსმეტედფინალი, მეორე წრე

„ლეგია" (ვარშავა, პოლონეთი) — „ნანტი" (საფრანგეთი) 0:1 (2:2)

„კოკოლა" (ფინეთი) — „კიოლნი" (გფრ) 1:4 (1:5)

„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — „ფრემი" (დანია) 0:0 (1:1)

„დანდი" (შოტლანდია) — „რასინგ-უაიტი" (მოლენბეკი, ბელგია) 2:4 (0:1)

„ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია) — „იფსვიჩ თაუნი" (ინგლისი) 1:1 (2:2)

„პორტდაუნი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ვალური" (ისლანდია) 2:1 (0:0)

„იურგორდენი" (შვეცია) — „სტარტი" (ნორვეგია) 5:0 (2:1)

„ბოჰემიანსი" (ირლანდია) — „ჰამბურგერ შპორტფერაინი" (გფრ) 0:1 (0:3)

„სერვეტი" (ჟენევა, შვეიცარია) — „დერბი ქაუნთი" (ინგლისი) 1:2 (1:4)

„ჰიბერნიენი" (ედინბურგი, შოტლანდია) — „როზენბორგი" (ნორვეგია) 9:1 (3:2)

„აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „სტოკ სიტი" (ინგლისი) 0:0 (1:1)

„ანტვერპენი" (ბელგია) — „შტურმი" (ავსტრია) 1:0 (1:2)

„რედ ბოიზი" (ლუქსემბურგი) — „ლიონი" (საფრანგეთი) 1:4 (0:7)

„რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი) — „ვიტორია" (სეტუბალი, პორტუგალია) 4:0 (1:1)

„ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (ინგლისი) — „პორტუ" (პორტუგალია) 3:1 (1:4)

„ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) — „ეტარი" (ტირნოვო, ბულგარეთი) 3:0 (0:0)

„ჰიბერნიანსი" (მალტა) — „ფკ ამსტერდამი" (ჰოლანდია) 0:7 (0:5)

„ბანიკი" (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) — „რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 4:0 (1:0)

„ვაშაში" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლოკომოტივი" (პლოვდივი, ბულგარეთი) 3:1 (1:3), პენალტებით — 5:4

„ფორტუნა" (დიუსელდორფი, გფრ) — „ტორინო" (იტალია) 3:1 (1:1)

„პარტიზანი" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „გურნიკი" (ზაბჟე, პოლონეთი) 3:0 (2:2)

„იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — „ფორვერტსი" (ბერლინი, გდრ) 3:0 (1:2)

„სტიაგულ როშუ" (რუმინეთი) — „ბეშიქთაში" (თურქეთი) 3.0 (0:2)

„არისი" (სალონიკი, საბერძნეთი) — „რაპიდი" (ვენა, ავსტრია) 1:0 (1:3)

„ვიდეოტონი" (უნგრეთი) — „ნაპოლი" (იტალია) 1:1 (0:2)

„დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ბოლუსპორი" (თურქეთი) 3:0 (1:0)

„ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) — „სვაროვსკი-ვაკერი" (ვენა, ავსტრია) 3:0 (1:2)

„ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) — ბკ „კოპენჰაგენი" (დანია) 4:0 (2:3)

**შენიშვნა:** ფრჩხილებში მოთავსებულია პირველი შეხვედრების შედეგები, ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგ წრეში გასული გუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური საღამოები,
## ანუ ჩვენი დედაქალაქის უბნების პირველობა მინი - ფეხბურთში

თბილისური საღამოები შემოდგომის სანდომიანი ფერებით, მყუდრო პარკი, დამშვენებული ჩრდილიანი ხეივნებით, მოგუგუხე კოხტა სპორტმოედნით... ასეთია ის ატმოსფერო, რომელიც ათასობით თბილისელს ხიბლავდა კიროვის პარკში მინი-ფეხბურთში პირველობის დღეებში. გულშემატკივართაგან ბევრს ფერმკრთალი სახე ქონდა, როგორც სტაჟიან ტელემაყურებლებს შეეფერებათ. უმრავლესობა, გაწბილებული უღიმღამო სპორტული შეჯიბრებებით, პირდაპირ ტელევიზორის „ტყვედ" იქცა. არა, რაც უნდა თქვათ, სპორტულმა სანახაობამ მაყურებელი რომ დაკარგა, ამაში ალბათ ყველაზე ნაკლები დანაშაული მიუძღვის თავად... მაყურებელს. გულშემატკივარს, საზოგადოდ, ხიბლავს უშედავათო, აზარტული, მაღალი კლასის სანახაობა და არა მისი იმიტაცია. მისი, მაყურებლის, კულტურა და მომთხოვნელობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ჩვენში სპორტული სანახაობანი ამ დონეს ძალიან ჩამორჩა. და აი, შედეგი: ბევრი შეჯიბრება უმაყურებლოდ ტარდება.

კარგი, მეტად კარგი და ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარეს თავიანთს შეუდარებლად გამოცდილ და უფროს კოლეგებს მინი-ფეხბურთელთა ტურნირის მონაწილეებმა. მათ მაყურებელს უჩვენეს ჭეშმარიტად ცეცხლოვანი, შეუპოვარი, საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთი, რითაც ათასობით ადამიანის გული მოინადირეს. არა, სრულიადაც არ გასციებია გული ჩვენს მაყურებელს სპორტზე, იგი, როგორც აღვნიშნეთ, გაცილებით მომთხოვნი გახდა უწინდელთან შედარებით.

საიდან, დედაქალაქის რომელი უბნიდან არ მოვიდნენ გუნდები „ლელოს" პრიზზე გამართულ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად! რაღაც მეტად შინაურულად, თვით ინტიმურადაც კი ჟღერდა გუნდების სახელები: „საბურთალო" და „ვერა", „ვაკე" და „სვანეთის უბანი", „იბერია" და „სალხინო", „საქართველო" და „ნაკადული", „თბილისი" და „მოსკოვი"... დიახ, „მოსკოვი". ოღონდ ეს თბილისის რომელიმე ახალი უბანი არ გეგონოთ. მოსკოვის გუნდმა პატივი დასდო შეჯიბრების მასპინძლებს და თბილისურ ტურნირს თავისებური საკავშირო კოლორიტი შესძინა. რადგან ნავსი გატყდა, თბილისის მინი-ტურნირის მომავალი ერთობ ოპტიმისტურ პლანში წარმოგვიდგება. ორგანიზატორები ამთავითვე ფიქრობენ, რომ იგი გაცილებით უფრო წარმომადგენლობითი გახადონ და გაისად მასში სათამაშოდ ქვეყნის სხვა ქალაქების გუნდებიც მოიპატიჟონ...

რამდენი გვაქვს სათქმელი და სალაპარაკო, რამდენი დაუვიწყარი მატჩი აჩუქეს ფეხბურთის გულშემატკივრებს ენთუზიასტმა ფეხბურთელებმა!

ჩვენ შეზღუდული ვართ ადგილითა და დროით და ამიტომ ფეხბურთის ჭეშმარიტი დამფასებლების წინაშე (მათი რიცხვი კი საქართველოში ერთობ დიდია) ბოდიში უნდა მოვიხადოთ, თუ დაწვრილებით ვერ გავაცნობთ უაღრესად საინტერესო ასპარეზობის პერიპეტიებს.

რაც მართალია, მართალია, ტურნირი, როგორც იტყვიან, სანაქებო გამოდგა. ტელევიზორის მოყვარულნი საგრძნობლად მოფერიანდნენ და შეჯიბრების დღეებში ჯანმრთელი სიწითლე გადაჰკრავდათ სახეზე (ეს უწყინარი ხუმრობა, იმედია, მათ არ ეწყინებათ). რაც შეეხება აუდიტორიის დიდ ნაწილს, იგი ახალგაზრდობისგან შედგებოდა. მოედანზე თამაშობდნენ მათი მეგობარ-ამხანაგები, ნაცნობები, რომლებსაც ხვდებიან ქუჩაში, სამეცნიერო დაწესებულებაში, ქარხანაში, ფაბრიკაში, ერთი სიტყვით, ყველგან, გარდა საფეხბურთო ჭინდრისა. ფეხბურთი მინი-პირველობის უმრავლესობისთვის ჰობია, გასართობია, რომელსაც თავისუფალ დროს, ანუ შაბათ-კვირას ძისდევენ. და სწორედ ამ შტრიხმა განუმეორებელი ელფერი შესძინა მეტად თავისებურ ტურნირს.

იმ წუთიდან, რა წუთიდანაც მსაჯმა ასპარეზობის პირველი მატჩის დაწყების მაუწყებელი ნიშანი ძისცა (ეს კი მოხდა 21 სექტემბერს), მაყურებლი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შეჯიბრებას.

საიდან დავიწყოთ, მკითხველო, თხრობა თავად ტურნირის თაობაზე? იქნებ იმ მატჩიდან, რომელიც გრიგალისებურ ტემპში მიმდინარეობდა და უჩვეულო ემოციები გამოიწვია მოედანსა და ტრიბუნებზე („ვაკე" — „თბილისი"). მაყურებელი ტაშს უკრავდა გამარჯვებულ ვაკელებს, თანაუგრძნობდა დამარცხებულ გუნდს. აქ იყო ცრემლებიც, ვინაიდან უკვე ჩამოყალიბებული კაცებისთვის ძნელი აღმოჩნდა ემოციების დაოკება, რადგანაც მათ, ჭეშმარიტად მოყვარულმა ფეხბურთელებმა, გაუგონარი მორალურ-ნერვული დაძაბულობა განიცადეს. ან იქნებ აღვნიშნოთ მატჩი, რომელშიც ბოლო წუთამდე არ ჩამქრალა შეუპოვარი ბრძოლის კოცონი და მხოლოდ ერთმა ბურთმა გადაწყვიტა თამაშის ბედი („თბილისი" — „ნაკადული"). გაოგნებული მოთამაშეები მატჩის დამთავრებისთანავე მადლიერი მაყურებლის ალყაში მოექცნენ. უნდა გენახათ, რაოდენ ბედნიერნი იყვნენ ისინი. ბედნიერნი და ამაყნი, რადგანაც გამოცდილ, გამობრძმედილ გულშემატკივრებში ისეთი ექსტაზი გამოიწვიეს, უდიდესი მასშტაბის შეჯიბრების მონაწილეებსაც შეშურდებოდათ...

ან იქნებ გავიხსენოთ ტურნირის საუკეთესო მატჩი, როგორიც უნდა იყოს საზოგადოდ ფინალი — „საქართველო" — „ვაკე"! ასპარეზობის ბოლო აკორდი. უნდა გენახათ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, სადაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ნემსის ჩასაგდები ადგილიც არ იყო. და ჩვენ, მაყურებლებს, უნებურად გაგვახსენდა ძველი ნეტარი დრო, როცა გულშემატკივრები ასევე განიცდიდნენ საფეხბურთო მატჩების მსვლელობას. მაშინ მაყურებლებს არ სჭირდებოდათ სწავლება გასამხნევებელი შეძახილებისა. „საქართველო" — „ვაკის" მატჩი დიდხანს ემახსოვრებათ დამსწრეთ. აქ იყო ყველაფერი, რითაც ლამაზია ფეხბურთი. სხვათა შორის, ამ მატჩმა დაასახელა გამარჯვებული: „საქართველოს" გუნდი...

ეს ყველაფერი ასე იყო, ყოველგვარი გაზვიადებისა და შელამაზების გარეშე. მაგრამ ფეხბურთის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულს ჩრდილოვანი მხარეებიც აღმოაჩნდა. იგი აშკარად არ იყო დაზღვეული დასანანი ნაკლოვანებებისგან. ზოგ შეხვედრაში მსაჯობა მოისუსტებდა, ზოგშიც ფეხბურთელები სცოდავდნენ, ზოგიც, რაც ყველაზე საწყენია, წინასწარ „ჩაწყობილი" იყო! ამას ამჩნევდა ყველა, ეს არავის მოსწონებია, და მაინც, ლამის შეჯიბრების დამთავრებამდე, საქმეს ბოლომდე ვერ ეშველა. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ტურნირს ჰქონდა საპატიო მისია — გამოევლინებინა არა მარტო ნიჭიერი ენთუზიასტი ფეხბურთელები, კმაყოფილება მოეტანა მონაწილეებისა და მაყურებლებისთვის, არამედ გარკვეული მორალურ-აღმზრდელობითი როლიც ეთამაშა. სამწუხარო ფაქტია, რასაც ალბათ ტურნირის მონაწილენი მომავალში გაითვალისწინებენ.

და მაინც, ვიმეორებთ, ტურნირმა თავისი მისია შეასრულა. იგი გადაიქცა ფეხბურთის თავისებურ ფესტივალად, რომელმაც დააინტერესა უკლებლივ ყველა — ჭაბუკები და ქალიშვილები, ხანდაზმულნი და ნორჩები, დედები და მამები... ჭეშმარიტად მადლიერია ჩვენი მაყურებელი კარგი სანახაობისთვის.

როცა ათასობით მაყურებლის ტაშის გრიალში „ლელოს" პრიზი გადაეცა „საქართველოს" გუნდს, ყველანი ერთი ფიქრით იყვნენ შეპყრობილი: როდის გაიმართება მინი-ფეხბურთში მომდევნო, მესამე ტურნირიო. გარდა ამისა, მაყურებელი ფიქრობდა იმაზეც, რომ მომავალი ასპარეზობა ალბათ თავის წინამორბედზე, ანუ ახლანდელ შეჯიბრებაზე გაცილებით საინტერესო და, რაც მთავარია, ორგანიზაციული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი იქნება.

ტურნირის მონაწილენი სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს. საუკეთესო მეკარედ აღიარეს თემურ ჩლაიძე („ვაკე"), საუკეთესო მცველად — თემურ ფიჩხაია („იბერია"), საუკეთესო თავდამსხმელად — ზურაბ მაისურაძე („ვერა").

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი თამაზ ელისაშვილს („ვაკე") ხვდა, ხოლო სპეციალური პრიზი — „ყველაზე ტექნიკური მოთამაშე" — თენგიზ ღოღობერიძემ („ვაკე") დაიმსახურა.

ა. გოგელია.

• • •



სურათზე: „ლელოს" პრიზის მფლობელი „საქართველოს" გუნდი — (მარცხნიდან, სხედან) ზაზა გომართელი, თემურ ხუციშვილი, ოთარ გიგოლაშვილი (კაპიტანი), ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ ნასარიძე, (დგანან) ჰამლეტ ნიჟარაძე (მწვრთნელი), ლევან მაყაშვილი, გიორგი ციკოლია, ანზორ ჯინჭარაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, ვალერი კობახიძე (მწვრთნელი), მიხეილ ასათიანი (შეჯიბრების მთავარი მსაჯი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

### მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

## „პოლონეთის ტურის" 11 ეტაპი

რადომში დამთავრდა ტრადიციული, რიგით 31-ე მრავალდღიანი ველორბოლა „პოლონეთის ტური". მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში რამდენიმე უცხოელი სპორტსმენი მონაწილეობდა.

წლევანდელმა შეჯიბრებამ რესპუბლიკის ყველა უძლიერეს ველოსიპედისტს მოუყარა თავი. ამიტომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ნიჭიერი ბელგიელი სპორტსმენების — 21 წლის ა. დელკრუას და 24 წლის ლ. პეეტერსის წარმატება: მათ შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მრავალდღიანი რბოლა მათთვის ბოლო იყო სამოყვარულო სტატუსით: დელკრუამ და პეეტერსმა პროფესიული ველოსპორტის მესვეურთა მიწვევა მიიღეს.

შეჯიბრების მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო ვ. მატუსიაკი, რომელმაც III ადგილი დაიკავა. იგი ხუთ წუთზე ცოტა მეტი დროით ჩამორჩა გამარჯვებულს. ჯგუფურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა ი. კოვალსკიმ X ადგილი დაიკავა, ხოლო სახელგანთქმულმა რ. შურკოვსკიმ — XIII.

სწორედ შურკოვსკი აღმოჩნდა ყველაზე აქტიური მრბოლელი. ამ კლასიფიკაციაში მეორეა ს. შოზდა (პოლონეთი), ხოლო მესამე — პეეტერსი.

რბოლა 11 ეტაპისგან შედგებოდა.

## სპორტული კადრების სამჭედლო

განვლილი 15 წლის მანძილზე 40 განვითარებადი ქვეყნის 1300 ფიზკულტურის მუშაკმა, მწვრთნელმა, სპორტული მეცნიერებისა და მედიცინის მუშაკმა მიიღო ლაიპციგის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლისა და გდრ-ის სხვა სპორტული უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები. აგერ უკვე ორი წელია რესპუბლიკის სპორტული კადრების მთავარ სამჭედლოში გაიხსნა ფაკულტეტი უცხოელებისთვის, სადაც სწავლობენ არა მარტო სტუდენტები, არამედ ასპირანტებიც, სადაც იწყობა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები უცხოელი მწვრთნელებისთვის.

გასულ წლებში გდრ-ის ბიუჯეტიდან 15 მილიონი მარკა გამოიყო აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სპორტის სპეციალისტთა მოსამზადებლად, მეორე მხრივ, ამჟამად გდრ-ის 80 მწვრთნელი, ექიმი და ფიზკულტურის მასწავლებელი მუშაობს ამ სამი კონტინენტის ქვეყნებში.

ბერლინი, 3 ოქტომბერი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## აფრიანი ნავით დედამიწის ირგვლივ

კუნძულ კიუსიუს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე საპორტო ქალაქ ფუკუოკაში შეხვედრა მოუწყვეს ნავს „ვერცხლის მელიას", რომლითაც დედამიწის ირგვლივ იმოგზაურა 29 წლის რიუსუკე უსიძიმამ.

ცამეტი თვის წინათ, 1973 წლის 27 აგვისტოს, ახალგაზრდა იაპონელი მარტოდმარტო შეუდგა ცურვას ამ პატარა ორანძიანი ნავით. სტარტის აღების წინ იაპონელმა თქვა, ნავსადგურებში შესვლას არ ვაპირებო. მაგრამ წლეულს აპრილში იგი იძულებული გახდა ანძის შესაკეთებლად გაჩერებულიყო აფრიკის კონტინენტის სამხრეთში მდებარე საპორტო ქალაქ ისტ ლონდონში. იმ დღიდან მის შესახებ ცნობები აღარ მოდიოდა.

მხოლოდ ამას წინათ „ვერცხლის მელია" შემთხვევით შენიშნეს ერთ-ერთი სავაჭრო გემიდან. ხომალდის რადისტმა მყისვე გადასცა ცნობა ამის შესახებ მამაცი მეზღვაურის სამშობლოში.

რიუსუკემ მარტოდმარტო გადალახა წყნარი ოკეანე, შემოუარა ჰორნის კონცხს, გავიდა ატლანტის ოკეანის სივრცეებში, უკან მოიტოვა ინდოეთის ოკეანე და იაპონიის კუნძულებს დაუბრუნდა.

(საკდესი).

### ქალი რინგზე

კრივი ვაჟთა სპორტად ითვლება. მაგრამ ინდიანის შტატის (აშშ) მცხოვრებმა, ვინმე პეტ ბარლოუმ გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ მოკრივეთა ნამდვილი ბრძოლის საიდუმლოებათა წვდომა მარტო კაცებს როდი შეუძლიათ. ბარლოუ, როგორც ამერიკის ჟურნალი „რინგი" იუწყება, მოკრივეთა შეჯიბრებების მსაჯია.

პეტ ბარლოუს კრივი პირველად ძმამ გააცნო. გოგონა ექვსი წლისა იყო, როცა ბიჭმა შინ მოკრივის ხელთათმანები მიიტანა. მაშინ გოგონას ტუჩებში მოხვდა, მაგრამ არ დაიბნა და ძმას ასეთივე დარტყმით უპასუხა.

— მე მსაჯობა დავიწყე, რათა ნაწილობრივ მაინც შემევსო კვალიფიციური არბიტრების ნაკლებობა, — გვიამბობს პ. ბარლოუ. — როცა გონგის ხმას გავიგონებ, მავიწყდება ქალი რომ ვარ და მთელი არსებით ვეძლევი საყვარელ საქმეს.

როცა პეტს ჰკითხეს, მისცემთ თუ არა თქვენს რვა წლის ვაჟს რიჩარდს რინგზე ბრძოლის უფლებას, როცა გაიზრდებაო, მან უპასუხა: „რატომაც არა? ბევრი წინააღმდეგია კრივისა — ზედმეტად „მკაცრი" სახეობააო. მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, კრივი ხელოვნებაა!".

ვ. ივანოვი.

(გაზეთი „ტრუდი").

თბილისის სპორტული ვაჟკაცი

მძლეოსნობა. კუს ტბის მიდამოები. 5 ოქტომბერი. საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. დასაწყისი 15 ს.

„ლოკომოტივის" სტადიონი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)

5 ოქტომბერს სათადარიგო შემადგენლობანი

6 ოქტომბერს ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66443 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 02851